პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 მაისი, კვირა, 1989 წ.
№ 87 (10 006) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



IV — თვის მონაპოვარი

## სევდანარევი სიხარული

**აპრილის** სისხლიანმა კვირამ და აჭარაში დატრიალებულმა ტრაგედიამ სულით ხორცამდე შესძრა ყველა ქართველი, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი. ამ ტრაგედიებმა სიხარულიც გადაგვავიწყა და ღიმილსაც გადაგვაჩვია, მაგრამ სულიერად არ დავბეჩავებულვართ, პირიქით — თავსდამტყდარმა უბედურებამ ერთმანეთთან დაგვაკავშირა და მომავალ გამარჯვებათა ჟინით შეგვიპყრო. ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები იმ ავადმოსაგონარი აპრილის თვეშიც ღირსეულად წარმოაჩენდნენ საქართველოს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და გამონაკლისები არც ჩვენი სპორტსმენები ყოფილან. ქართული ჯიშის სიძლიერე მათ ამ უბედურების ჟამსაც უნდა დაემტკიცებინათ და დაამტკიცეს კიდეც. თუმცა ეს სევდანარევი სიხარული იყო.

**ნინო** სალუქვაძე... სეულის ოლიმპიური თამაშების საქართველოს სპორტსმენთა ამ გმირთა გმირმა თავის უთვალავ ნადავლს კიდევ ერთი უდიდესი ჯილდო შემატა — მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი, ამჯერად პირად პირველობაში მოპოვებული. ამ გამარჯვებით ნინომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მედლების სრული წრე შეკრა. მას პირად პირველობაში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალილა აკლდა და იუგოსლავიის ქალაქ სარაევოში ისიც მოიპოვა. 19 წლის ნინომ ამ წარმატებას პნევმატური პისტოლეტით სროლაში მიაღწია.

**თბილისელ** წყალში მხტომელ ანა როსტიაშვილს საბჭოთა ნაკრების ღირსების დაცვა ისეთ დიდ ასპარეზობაში, როგორიც ევროპის თასის გათამაშებაა, პირველად ანდეს და მანაც არ გაგვაწბილა: შვეიცარიაში გამართულ შეჯიბრებაში ანამ კუნძულ პირველობაში გაიმარჯვა, რისთვისაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება დაიმსახურა.

ანა როსტიაშვილი შვეიცარიაში პირად პირველობაშიც უნდა გამოსულიყო. როგორც თავის დროზე ვიუწყებოდით, სამწუხაროდ, საბჭოთა ქალთა ნაკრებმა, მთელი შემადგენლობით, გაუგებრობის გამო, პირად ასპარეზობაზე ერთი საათით დააგვიანა და ბრძოლაში ჩაბმა ველარ შეძლო.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარებულ წყალში მხტომელთა საერთაშორისო ტურნირზე თავი გამოიჩინა თბილისელმა მოსწავლე გოჩა გახარიამ, რომელმაც კოშკიდან ხტომაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**მინსკში** გამართულ 18 და 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში მართლაც რომ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია თბილისელმა ქეთევან კახიანმა. მან ორივე ასაკის წარმომადგენელთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა: უფროსთა შორის ქეთევანს არცერთი პარტია არ წაუგია, რვა მოიგო და ხუთი ყაიმით დაამთავრა. რაც შეეხება თანატოლთა შორის გამოსვლას,

იხ. მე-4 გვ.

## პირველი დღე — რეკორდებით!

**მძლეოსნობას** საქართველოში საკმაოდ განტოტვილი სტრუქტურა აქვს და ამიტომ სეზონის პირველი მასობრივი სტარტი (ლაპარაკია ღია სტადიონზე) ყოველთვის ინტერესს იწვევს. 5 მაისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დაიწყო მძლეოსანთა რესპუბლიკური პირველობა. ასპარეზობის ზუსტ დასახელებას ვერც ვიტყვით. საქმე ისაა, რომ ერთბაშად სამი ასაკის სპორტსმენები ასპარეზობენ და ასეთმა სიტუაციამ თავისებური დაღი (მათ შორის არაპოზიტიურიც) დაასვა პირველობას. საერთოდ კი ერთმანეთს ეჯიბრებიან სპორტსკოლების გუნდები, სადაც უფროსი ასაკის მძლეოსნებიც დაუშვეს პირად პირველობაში.



საქართველოს მთლიანი ნაკრები გუნდის მომზადების შეფასება ჯერჯერობით ნაადრევია, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს რამდენიმე ახალგაზრდა სპორტსმენის მართლაც შესანიშნავი გამოსვლა. **იოსებ შავერდაშვილმა** (მწვრთნელი ომარ ოდიშვილი) უროს ტყორცნაში **ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა** ახალგაზრდა მძლეოსანთა შორის. მან 73 მ. და 72 სმ აჩვენა. ო. ოდიშვილის მეორე მოწაფემ **ლერი ჩიტაიშვილმა**, თავის მხრივ, **ჭაბუკთა რეკორდი გააუმჯობესა** — 67 მ. 82 სმ. ასევე კარგად გამოვიდა შუბის მტყორცნელი ამბროსი მატიაშვილი (მწვრთნელი რეზო კობიაშვილი), რომელმაც 71,98 მ. აჩვენა.



სურათებზე: 100 მეტრზე გოგონათა ფინალური გარბენი; ლერი ჩიტაიშვილი (მარცხნივ) და იოსებ შავერდაშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

### დაზარალებულთა დახმარების ფონდში

**სტიქიური** უბედურებისაგან დაზარალებულ მთიანი აჭარის მოსახლეობის დახმარების ფონდში ჭიდაობის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის თანამშრომლებმა, როგორც ამ სკოლის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ოთარ დიდებულიძემ გვაცნობა, ნაღდი ფული — 1200 მანეთი შეიტანა.

### დაჯილდოება

**რადიოს** დღესთან და საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მთავარი სპორტული რედაქციის რადიოს სპორტული გადაცემების რედაქციის შექმნის 20 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა დააჯილდოვა:

**საპატიო სიგელით**

**თამილა რომანის ასული კახიძე** — უფროსი რედაქტორი;

**ოთარ ივანეს ძე გელაშვილი** — რედაქტორი.

**სიგელით**

**ვლადიმერ ვლადიმერის ძე ნიკოლაიშვილი** — კორესპონდენტი;

**ნანა ნოდარის ასული მიქაძე** — ხმის ოპერატორი.

## ტირილი ტოკიოდომში

### ანუ როგორ დაამარცხა ჩოჩიშვილმა ინოკი

**ჩვენთვის** ამ მეტად მძიმე დღეებშიც კი ბევრ ადამიანს მეხსიერებაში ჩარჩა ცნობა იმის შესახებ, რომ 24 აპრილს ტოკიოში შოთა ჩოჩიშვილი სახელგანთქმულ პროფესიულ მოჭიდავე ანტონიო ინოკის უნდა შეხვედროდა. 25 აპრილიდან უკვე კითხულობდნენ შედეგის შესახებ...

შოთა ჩოჩიშვილს საგანგებოდ წარდგენა არ სჭირდება „ლელოს“ მკითხველთა და სხვათა წინაშე; იგი საბჭოთა კავშირის პირველი ოლიმპიური ჩემპიონია ძიუდოში, მასვე, ერთადერთს ჩვენი ძიუდოისტებისგან მოპოვებული აქვს ორი ოლიმპიური ჯილდო (ოქროს და ბრინჯაოს მედლები), გაუმარჯვია უამრავ მნიშვნელოვან ტურნირში.



შოთა ჩოჩიშვილმა მოგვერდით მოწყვიტა ხალიჩას ინოკი.

შოთა ჩოჩიშვილმა 1978 წელს მიატოვა სპორტული სარბიელი. მისმა ხელახალმა გამოჩენამ ჭიდაობაში, თანაც პროფესიონალთან შეხვედრამ, დიდი სენსაცია გამოიწვია... ამ ორიოდე დღის წინ, გვიან ღამით, შოთა ჩოჩიშვილი გამარჯვებული დაბრუნდა იაპონიიდან და ცოტა ხნის შემდეგ — ჩვენც გორის გზას დავადექით.

შოთას მომცრო ბინაში თავდაპირველად ახალი პრიზები დავათვალიერეთ. ჩემპიონის გვირგვინი, სამურაის ხმალი და ტოკიოში მიღებული სხვა ჯილდოები თავისწილ აღწერას იმსახურებენ, მაგრამ ჩვენ გვინდა ყურადღება იმ იშვიათ სარტყელზე შევაჩეროთ, რომელსაც პროფესიონალთა შორის უძლიერეს მოჭიდავეს არგუნებენ ხოლმე. საოცარი სილამაზის, ოქროთი და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ქამარი უნიკალურ სამუზეუმო ექსპონატს ჰგავს. მასპინძლისაგან შევიტყვეთ, რომ ეს უძვირფასესი სარტყელი გარდამავალი ყოფილა და მის შესანარჩუნებლად — თუკი სურვილი ექნება — მომავალშიც უნდა დაიცვას გამარჯვებულის სახელი.

იხ. მე-2 გვ.



### დავით აღმაშენებლის ნაკვალევზე

**გელათი-გეგუთი-გორი-სამშვილდე-ლორე-რუსთავი-დიდგორი-მცხეთა-თბილისი** — ასეთია ძირითადი მარშრუტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციისა, რომელიც დავით აღმაშენებლის ზეობის 900 წლისთავს ეძღვნება და ჩვენი დიდი წინაპრის საომარ თუ სამოღვაწეო ადგილებს გაივლის. ზემოაღნიშნული მარშრუტი ცხენოსნურია, **ბედია-ქუონდიდის, მცხეთა-ყაზბეგის, რუსთავ-ხუნანის** და **რუსთავ-ერწუხის** მონაკვეთს კი ექსპედიციის წევრები ავტობუსით გაივლიან. ეს საინტერესო მოგზაურობა დასრულდება თბილისში. ექსპედიციაში შედიან: გ. ქოქიაშვილი (ხელმძღვანელი), გია პაპუაშვილი, ცოტნე ალბუთაშვილი, დევი ბერძენიშვილი (სამეცნიერო ხელმძღვანელი), ლადო ქალდანი, სოსო ზანძელაძე, გია ლეონიძე, პლატონ ბერიაშვილი.

## ნაკრებში სამი ქართველი ძიუდოისტია

**ძიუდოისტ** ვაჟთა და ქალთა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ჰელსინკს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ნაკრები.

ვაჟთა გუნდში ჩვენი რესპუბლიკის სამი წარმომადგენელია: სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორები ამირან ტოტიკაშვილი და გიორგი თენაძე, აგრეთვე კობა კურტანიძე. ზემოდასახელებულ ძიუდოისტთა გარდა ევროპის ჩემპიონატის მედლებისთვის იბრძოლებენ: ბ. ვარაევი, ს. კოსმინინი, ვ. ბუდიუკინი, ს. კოსოროტოვი და გ. ვერიჩევი. ნაკრებში ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი მძიმე წონის მოჭიდავე გრიგორი ვერიჩევი გახლავთ. იგი ოთხჯერ იყო კონტინენტის ჩემპიონი.

ქალთა ნაკრები გამოიყურება ასე: ე. ეგოროვა, ტ. გავრილოვა, ლ. მატიევსკაია, ნ. კიამოვა, ვ. გორდეევა, ე. ბესოვა, ს. გუნდარენკო და ე. გუშჩინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტირილი ტოკიოდომში

(დასასრული)

● **რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის იაპონელთა წინადადება? — ვკითხეთ შოთას.**

— პირდაპირ სახტად დავრჩი. ალბათ იცით, იაპონელები აქ იყვნენ, გორში, რამდენჯერმე მნახეს დარბაზში. სპორტი კი მივატოვე, მაგრამ ჩემთვის, ჩუმად მიყვარს ვარჯიში, თან ძირითადი სამუშაოს გარდა ოფიციალური მწვრთნელიც ვარ, ძიუდოისტთა ერთ ჯგუფს ვავარჯიშებ, მათ შორის ჩემს ორ ვაჟსაც.

თურმე იაპონელები ინოკის მეტოქედ შესაფერის კანდიდატს ეძებდნენ. სხვები დაიწუნეს, ზოგის მომზადება არ მოუვიდათ თვალში, ზოგის — აღნაგობა და სხვა ამისთანა. ჩემი ტიტულები იცოდნენ — ოლიმპიური ჩემპიონი ვარ. გორში არაფერი უთქვამთ, მაგრამ მარტის ბოლოს იაპონიაში რომ მიგვიპატიჟეს მე და ბორის გოგიჩაშვილი, იქ გაგვანდეს შეხვედრის სურვილი. ახალი ჩასულები ვიყავით. რამდენიმე წუთში ერთ-ერთი სასტუმროს ორმოცდამესამე სართულზე, დიდ საკონფერენციო დარბაზში აღმოვჩნდით, სადაც 50-მდე რეპორტიორი გველოდა. უარს ხომ ველარ ეტყოდი. თუმცა, ასეთი განზრახვა არც მქონია.



მეხუთე რაუნდი. შოთა ჩოჩიშვილი ახლოსაა გამარჯვებასთან.

● **შეხვედრის პირობებზეც იქ მოილაპარაკეთ?**

— დეტალები არ დაგვიზუსტებია. ფულზე უარი ვთქვი და ერთადერთ პირობად წამოვაყენე, რომ ძიუდოს წესებით მეჭიდავა. შემდეგ წაგვიყვანეს ნაგოიასა და იოკოჰამაში, დაგვასწრეს პროფესიონალთა შეხვედრებს. ინოკიმ იქ იჭიდავა და ორი მეტოქე დაამარცხა. ზოგჯერ ორთაბრძოლა წყდებოდა, რინგზე გამოდიოდა დიქტორი და სახალხოდ აცხადებდა ინოკისა და ჩემი მომავალი შეხვედრის შესახებ. ამით დაიწყო წინასწარი სარეკლამო კამპანია.

...ჩვენს საუბარს ესწრებოდნენ ცნობილი მწვრთნელი გურამ პაპიტაშვილი და ბორის გოგიჩაშვილი, რომლებიც სხვადასხვა დეტალებით და დამატებებით ავსებდნენ დიალოგს. რეკლამა მართლაც დიდი ყოფილა, იმდენად დიდი, რომ მისმა შედეგებმა თვით ორგანიზატორები — იაპონელებიც გააკვირვა. ინოკი თავის სამშობლოში გულშემატკივართა კერპია. ჩოჩიშვილის წარდგენისას იმაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რომ ჩვენი ფალავანი ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ, თავის დროზე უბადლო, ულამაზეს ილეთებს იყენებდა და ბევრი სახელოვანი მოჭიდავე დაუმარცხებია, მათ შორის იაპონელთა კერპები სასაჰარა და ნინომია. განსაკუთრებით აქებდნენ შოთას ძირითად ილეთს — ბრუნს... და ხალხის ინტერესი აგორებული ტალღასავით იზრდებოდა. ბილეთის ფასი პირდაპირ ასტრონომიული იყო — 100-დან 500 დოლარი.

ჩვენს ადრინდელ წერილში გაცნობეთ, რომ შეხვედრა სუმოს სასახლეში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ, რადგან იქ მხოლოდ 30 ათასი კაცი ეტევა, ორთაბრძოლა უზარმაზარ დარბაზში— ტოკიოდომში გადაიტანეს, სადაც იაპონიაში ძალზე პოპულარული ბეისბოლის მატჩები ეწყობა.

დანიშნულ დღეს 53800 მაყურებელმა დარბაზი გაავსო. სკამები სარბიელის ირგვლივ იატაკზეც კი ჩაედგათ, იქვე ტრიალებდნენ სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის ამერიკელი) ტელეოპერატორები. მატჩის მთლიანმა შემოსავალმა (ტელეგადაცემათა უფლების გაყიდვით შესული თანხის ჩათვლით) რამდენიმე მილიონი დოლარი შეადგინა.

ასეთ დიდ დარბაზში ბოლო რიგებიდან მოჭიდავეთა შერკინებას კარგად ვერ დაინახავ, ამიტომ ოთხივე მხარეს ეკიდა 4X4 მ ზომის ტელეეკრანები. მოკლედ, მაყურებელი დიდი მატჩის მოლოდინში იყო.

— უკვე გითხარით, ადრეც ვვარჯიშობდი-მეთქი, — გააგრძელა საუბარი შოთა ჩოჩიშვილმა, — ოღონდ ბოლო სამი კვირა — რაც შეხვედრაზე მოვილაპარაკეთ — უფრო ინტენსიურად ვემზადებოდი. რეჟიმსაც ვიცავდი და ღვინოსაც არ გავკარებივარ.

...15 აპრილს იაპონიაში ჩავიდა ჩვენი სპორტული დელეგაცია: შოთა ჩოჩიშვილი, ლევან თედიაშვილი, გურამ პაპიტაშვილი, ბორის გოგიჩაშვილი, ავთანდილ მაისურაძე, სხვა ცნობილი მოჭიდავეები: სალმან ხასიმიკოვი, ვლადიმერ ბერქოვიჩი, ევგენი არტიუხინი, ვახა ევლოევი, ვიქტორ ზანგიევი. ჯგუფის ხელმძღვანელი გახლდათ ანზორ ქიბროწაშვილი...

— თავიდან ყველაფერი კარგად იყო, თუმცა კვლავ მკითხეს, ისევ იმ პირობებზე თუ ხარ თანახმაო, — ესე იგი, ფინანსურ მხარეს გულისხმობდნენ. ქალაქ კიოტოში დაგვაბინავეს ინოკის სპონსორთან. იგი უმდიდრესი კაცია, ხელზე 45 მილიონის ღირებულების სამაჯური ეკეთა და ოქროს ფოტოაპარატით იღებდა სურათებს. ტვირთის სწრაფად გადაზიდვის დიდი კორპორაციის პრეზიდენტი ყოფილა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ გვქონდა ვარჯიშის შესანიშნავი პირობები, რასაც ნაყოფიერად ვიყენებდით. 24 აპრილს ჩემს გარდა უნდა ეჭიდავათ ევლოევსაც, არტიუხინსაც, ხასიმიკოვსაც, ზანგიევსაც, ოღონდ — კეტჩის პროგრამით. ავთოს კი ჯერ მხოლოდ ამზადებდნენ ამისთვის.

შეხვედრის წინ ჩემთან მოვიდნენ მატჩის ორგანიზატორები. თანდათან, ლაპარაკში მიმახვედრეს, რომ ინოკის დამარცხება ძალზე მძიმე დარტყმა იქნებოდა იქაური გულშემატკივრებისათვის, იგი ხომ კეტჩის აღიარებულ ვარსკვლავად ითვლება და ყველაფერთან ერთად პროფესიული ჭიდაობის ასოციაციის პრეზიდენტიც არის. მოკლედ, გარიგებას მთავაზობდნენ, რასაც ალბათ შესაბამისი ანაზღაურებაც უნდა მოჰყოლოდა.

მე ვუთხარი (ლევან თედიაშვილიც გვერდზე მყავდა), რომ 9 აპრილის საშინელი ამბების შემდეგ საქართველოში დიდი გლოვაა და მორალური უფლება არა მაქვს, წაგებაზე დავყაბულდე. იქნებ ჩემი გამარჯვებით პატარა საქმე მაინც გავაკეთო, თუ არადა, დღესვე ამიღეთ ბილეთი და უკან გავბრუნდები-მეთქი. იაპონელები ცივად დამშორდნენ, თუმცა კი აღიარეს ჩვენი გადაწყვეტილების სიმართლე, მით უმეტეს, რომ იაპონიის ტელევიზია და პრესა ფართოდ აშუქებდა 9 აპრილის ტრაგედიის ამბებს, ჩვენ იქ ყველაფერი ვნახეთ, მათ შორის ალესილი ნიჩბების ტრიალიც. კომენტარებიც საკმაოდ ზუსტი იყო. აჭარაში ჩამოწოლილი მეწყრის მძიმე შედეგებიც გადმოსცეს.

ორთაბრძოლის დეტალებზეც კი მოვილაპარაკეთ: სულ ხუთი სამწუთიანი რაუნდი უნდა ჩაგვეტარებინა. მე, როგორც იცით, ძიუდოისტის ფორმით ვჭიდაობდი, რომელიც იქვე შემიკერეს. ილეთებიც ძიუდოსი უნდა გამომეყენებინა. დარტყმის უფლება, ცხადია, არ მქონდა.

ინოკი კი კეტჩის წესებს იყენებდა. დარტყმაც შეეძლო, მტკივნეული ილეთის ჩატარებაც და ჭიდაობაც.

**გურამ პაპიტაშვილი:** იაპონელებს იქნებ წინასწარ მოლაპარაკება არ გაემართათ, მაგრამ ამდენი ხალხი რომ მოზღვავდა და ასეთი არნახული აჟიოტაჟი ატყდა, ინოკის რეპუტაციას გაუფრთხილდნენ. თუმცა შოთას უარმა ისინი საგონებელში ჩააგდო. ჩემი აზრით, უკვე შიშობდნენ კიდეც, რაკი სტუმრები არ დაგვყაბულდნენ, ალბათ მართლაც აქვთ გამარჯვების იმედიო.

● **თქვენ რას ფიქრობდით, რამდენად გქონდათ გამარჯვების იმედი? ცხადია, წინასწარ რაღაც ტაქტიკას შეიმუშავებდით ინოკის წინააღმდეგ.**



**იმ დღეებში სარბიელზე ვიქტორ ზანგიევიც (სურათზე მარცხნივ) გამოდიოდა. მისი მეტოქე იყო იაპონელი პროფესიონალი კეტჩისტი.**

**გ. პაპიტაშვილი:** მე საერთოდ მოქმედ სპორტსმენს უფრო ვანიჭებ უპირატესობას, ვიდრე პროფესიონალ მოჭიდავეს. შოთას ნინომიაც დაუმარცხებია და სასაჰარაც. ამიტომ იმედი მქონდა ინოკისაც მოუგებდა. ერთი სიძნელე ის გახლდათ, რომ შოთასთვის კეტჩი უცხო იყო, ინოკი კი კარგად იცნობს ძიუდოს. არც პროფესიონალ მოჭიდავეთა გამომწვევი ქცევა მომეწონა.

**ლევან თედიაშვილი** (მას თბილისში ვესაუბრეთ): გამოგიტყდებით, გამარჯვების იმედი მაინცდამაინც არ მქონდა. ინოკიმ წინასწარ დიდი უპირატესობა მიიღო, თითქმის შიშველი, ტრუსით გამოვიდა ტატამზე, შოთა კი ძიუდოისტია და კიმონოზე ჩავლებით აკეთებს ილეთებს. მის ადგილზე მე რომ ვყოფილიყავი, თავისუფალი სტილის მოჭიდავე, ფეხში შევუვარდებოდი და ასე შემდეგ, შოთამ კი ეს არ იცის. ისე კი გავაფრთხილე, რომ თავიდანვე შეეტია და ინოკისთვის ამოსუნთქვის საშუალება არ მიეცა, ინიციატივით დაეჯაბნა.

**შ. ჩოჩიშვილი:** ღამით ცოტა ძილი გამიტყდა, თუმცა მხოლოდ იმდენად ვღელავდი, რამდენადაც ადრინდელი შეხვედრების წინ, ჯერ კიდევ ძიუდოში რომ გამოვდიოდი. ინოკის ბრძოლის მანერას ვიცნობდი. მთავარი იყო მის დარტყმებს მოვრიდებოდი და შემდეგ ახლო დისტანციიდან ჩემი ილეთები მეხმარა.

...ვიდრე ინოკი და ჩოჩიშვილი სარბიელზე გამოვიდოდნენ, რინგზე 14 წყვილის შეხვედრა ჩატარდა. პროფესიული ჭიდაობის — რესლინგის, ანუ იმავე კეტჩის წესებით ეს იყო თავისებური მცირე პრელუდია დიდი მატჩის წინ. ისე კი ვიტყვით, რომ ზანგიევმა ერთი შეხვედრა მოიგო, მეორე — წააგო. გაიმარჯვეს ხასიმიკოვმა და ბერკოვიჩმაც. შემდეგ კი ტატამს თოკები შემოხსნეს და სარბიელზე „მთავარ მოქმედ პირებს" უხმეს. 44 წლის ინოკი 115 კილოგრამს იწონიდა შერკინების წინ, 39 წლის ჩოჩიშვილი — 118-ს.

**შ. ჩოჩიშვილი:** პირველ რაუნდში, რომ იტყვიან, დაზვერვა იყო, თუმცა ინოკიმ ერთხელ დრო იხელთა და ნახევარი ბრუნით გადამაგდო. ჩემი აზრით, გადამწყვეტი მეორე რაუნდი გამოდგა. რამდენჯერმე ჩავატარე გდება, კისრულიც ვიხმარე, შემდეგ ბრუნით დავაგდე ძირს ინოკი და ხელი გავუჭიმე მტკივნეული ილეთით, როგორც ძიუდოშია მიღებული. იაპონელი დანებებას არ აპირებდა და ამ წინააღმდეგობისას, ეტყობა, მკლავი იტკინა, შემდეგ შევატყვე, კარგად ვეღარ ხმარობდა ამ მკლავს. პირველი რაუნდი მაინც წავაგე.

ინოკი თანდათან გაბრაზდა და იმ ილეთების გამოყენება დაიწყო, თვითონ იაპონელები „ჭუჭყიანს" რომ უწოდებენ. მესამე რაუნდში ჰაერში ახტა და ფეხი მძლავრად ჩამარტყა სახეში. ცოტა დავრეტიანდი და ტატამზე დავეცი, თუმცა მეხუთე თვლაზე უკვე ფეხზე ვიყავი. საერთოდ კი, ყველას აზრით, მესამე და მეოთხე რაუნდებში ბრძოლა თითქმის თანაბარი იყო. დარბაზი კი ღრიალებდა: ინოკი, ინოკი! სად არ მიჭიდავია, მაგრამ ასეთი რამ არსად მინახავს.

მე მეხუთე რაუნდში გავიმარჯვე, ვადამდე. ზედიზედ სამჯერ ჩავატარე ბრუნი. მესამე ბრუნის შემდეგ ინოკი ფეხზე ველარ ადგა. მსაჯმა ათამდე დათვალა და მე გამარჯვებულად გამომაცხადეს. არ გაგიკვირდეთ, ბრუნი მძიმე ილეთია და თუ მას წამოეგე, მძიმედ ვარდები ძირს, თან მეტოქეც ზედ გეცემა. ადრეც, ძიუდოშიც მინახავს, ასე წაქცეულს ფეხზე ადგომა გასჭირვებია. იაპონელები შეგვპირდნენ, რომ ფირს გამოგვიგზავნიდნენ ამ შეხვედრის ჩანაწერით. ჩვენ რატომღაც არაფერი გადაგვალებინეს, მაგრამ ფირი ჩამოვა და იმედი მაქვს, ჩვენი ტელევიზიითაც აჩვენებენ.

ჭიდაობის შემდეგ კი საკვირველი რამ მოხდა: მთელი დარბაზი ატირდა, რას ვიფიქრებდი, თუ ასე განიცდიდნენ ინოკის დამარცხებას. ინოკიც ტიროდა. შემდეგ ცოტა შევხვდი, ცივად მომესალმა.

**ბ. გოგიჩაშვილი:** ეს საუცხოო პრიზები, თქვენც რომ ნახეთ, შოთას მოგვიანებით გადასცეს. საერთოდ კი, სპორტული შედეგისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ორგანიზატორები ძალზე კმაყოფილნი დარჩნენ, მათ მართლაც გრანდიოზული სპორტული ღონისძიება მოაწყვეს და ეს ყველამ აღიარა.

● **შოთა, მომავალ შეხვედრებზე რას გვეტყვით?**

— ახლა ძნელი სათქმელია. იაპონელებს უნდათ, რომ კონტრაქტი დავდო და სხვა ორთაბრძოლებში გამოვიდე. ეს ჩემთვის იოლი არ იქნება. ახლა იქ ექვსთვიან შეკრებაზე მეპატიჟებიან. ამდენი ხნით ოჯახი, ჩემი სამუშაო როგორ უნდა მივატოვო. შვილები წამომეზარდნენ, ... ასაკში არიან, ახლა უნდათ მიხედვა. ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. ცალკეულ შეხვედრებში შესაძლოა, გამოვიდე, ოღონდ სახლს დიდხანს ვერ მივატოვებ. კონკრეტულად კი გეტყვით, რომ მალე ისევ იაპონიაში მივემგზავრები და იქ გაირკვევა ყველაფერი. პროფესიულ ჭიდაობასაც ძალიან დიდი შრომა უნდა. მძიმე წონის მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონს მაიკ ტაისონს რომ შეხვდეს (ასეთი ლაპარაკი უკვე მოვისმინე), მოჭიდავე, სულ ცოტა, წელიწად-ნახევარს უნდა ემზადოს. ეს იოლი საქმე არ არის. თან უკვე 39 წლის ვხდები, თუმცა არსენ მეკოკიშვილი 42 წლის ასაკში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი...

● **პროფესიული ჭიდაობა სახიფათო ხომ არ არის ადამიანის ჯანმრთელობისთვის?**

— არა მგონია, იქ ტრავმა იმაზე ხშირი იყოს, რამდენადაც ძიუდოში თუ სხვა ჭიდაობაშია...

ამრიგად, ჩვენი ფალავნების დებიუტი პროფესიულ სარბიელზე ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. პროფესიული ჭიდაობის პერსპექტივებზე კი ისევ ლევან თედიაშვილს დავუთმოთ სიტყვა:

— ეს რესლინგი, ანუ პროფესიული ჭიდაობა ბევრ ჩვენს მოჭიდავეს დააინტერესებს. თვითონაც იცი, სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ ბევრი ხეირიან სამუშაოს ვერ შოულობს. პროფესიონალებში გამოსვლით კი საკუთარ თავსაც გამოადგებიან და სახელმწიფოსაც: თითო ორთაბრძოლაში 2000-დან 5000 დოლარამდეა დაწესებული, ან მეტი, როგორც ეს ინოკისა და ჩოჩიშვილის შეხვედრის დროს იყო.

ჩვენ კომერციის უცოდინარობა გვღუპავს. ან რატომ ვთქვით უარი დიდ ჰონორარზე, შეხვედრაში გამარჯვებულს ხომ 50 ათასი დოლარი უნდა მიეღო. დარწმუნებული ვარ, ის „პორშეს" მარკის იშვიათი, მილიონის ღირებულების მანქანაც იმიტომ არ შეიტანეს ჯილდოების სიაში (როგორც თავდაპირველად განაცხადეს), რომ ჩვენ თავიდან არავითარი ფინანსური პირობა არ წამოგვიყენებია.

ჩვენთან თუ პროფესიული ჭიდაობის ასოციაცია შეიქმნა, მის მიერ შემოტანილი ვალუტა მარტო მოჭიდავეებს კი არა, მთლიანად ჩვენს სპორტს გამოადგება, თვითონაც იცი, როგორ დარბაზებში ვარჯიშობენ ჩვენი სპორტსმენები.

იაპონელებთან კავშირი საერთოდ ხელს გვაძლევს, მით უმეტეს, რომ იქ ახლა დიდი ყურადღება მიაქციეს ქართულ ჭიდაობას, ბოლო ხანს ძიუდოში საქმე უკან წაუვიდათ და გამოსავალს ეძებენ. ჩვენთან მომავალი ძიუდოისტი ჯერ ქართულ ჭიდაობას იწყებს და მერე მათგან მწვრთნელები საუკეთესოებს არჩევენ. იაპონიაში კი ეს შუალედი არა აქვთ, და ვიდრე არ გაიზრდება, ვერც მიხვდები კაცი, რომელი ბავშვისგან რა სპორტსმენი დადგება. როგორც გავიგე, იაპონელები სკოლებში აპირებენ ქართული ჭიდაობის სწავლებას. ეს ჩვენთვის მეტად სასიხარულო ამბავი უნდა იყოს.

უნდა ვისწავლოთ შეჯიბრებების ასე საზეიმოდ მოწყობა, როგორც იქ ვნახეთ. ეს მართლაც ზღაპრული სანახაობა იყო.

**„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტები.**

გორი.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატი. IX ტურის სტატისტიკური მონაცემები:

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (კიევი) 0:1 (0:0). გოლი: მიხაილიჩენკო (თერთმეტმეტრიანით).

დუბლიორები — 1:1.

„ლოკომოტივი“ — „ჟალგირისი“ 3:1 (1:0). გოლები: გორკოვი, რუსიაევი-2 („ლოკომოტივი“), სუკრისტოვი („ჟალგირისი“).

შეხვედრას სჯიდა თბილისელი გ. სეფიაშვილი, მას ეხმარებოდნენ თ. ლაცაბიძე (თბილისი) და ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გააფრთხილეს ვილნიუსელები: ნარბეკოვასი და ივანაუსკასი.

დუბლიორები — 2:0.

„სპარტაკი“ — „არარატი“ 1:0 (0:0). გოლი: პასულკო („სპარტაკი“).

დუბლიორები — 7:0.

62-ე წუთზე ერევნელმა ა. ხაჩატრიანმა ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი.

„პამირი“ — „ჩერნომორეცი“ 1:1 (0:0). გოლები: იმრეკოვი („ჩერნომორეცი“), აზიმოვი („პამირი“, თერთმეტმეტრიანით).

დუბლიორები —1:1.

„მეტალისტი“ — „ზენიტი“ 4:1 (1:1). გოლები: დანილოვი („ზენიტი“), იალოვსკი, ტარასოვი, შერბაკი (თერთმეტმეტრიანით), ბარანოვი („მეტალისტი“).

დუბლიორები — 1:0.

„ტორპედო“ — „როტორი“ 2:0 (2:0). გოლები: ი. სავიჩევი, გიცელოვი.

გააფრთხილეს ნ. სავიჩევი („ტორპედო“), ფედოროვსკი („როტორი“).

დუბლიორები — 0:0.

„დნეპრი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0.

გააფრთხილეს სიდელნიკოვი და ტიშჩენკო („დნეპრი“).

დუბლიორები — 2:0.

● **ბოლო** ტურში გატანილია 21 ბურთი. მეტოქეთა კარი 15-ჯერ აიღეს მასპინძლებმა, 6-ჯერ — სტუმრებმა. სულ წლევანდელ ჩემპიონატში გატანილია 149 ბურთი. აქედან 96 მასპინძლებზე მოდის, სტუმრებმა კი 53-ჯერ მიაღწიეს წარმატებას.

● **ბოლო** ტურში მასპინძლებმა მოიგეს ექვსი შეხვედრა, სტუმრებმა კი ერთხელ მოიპოვეს გამარჯვება. ორი მატჩი ფრედ დამთავრდა.

● **ბომბარდირთა** დავაში 7 გოლით კვლავ პირველ ადგილზეა სპარტაკელი როდიონოვი. ლიტოვჩენკოს (კიევის „დინამო“) 2 ბურთით ნაკლები აქვს გატანილი.

● **ს. როდიონოვმა** („სპარტაკი“) ითამაშა 250-ე მატჩი უმაღლეს ლიგაში.

● **შვიდმა** ფეხბურთელმა მიიღო გაფრთხილება. ვილნიუსელი ივანაუსკასის ყვითელი ბარათი მეორეა წლევანდელ თამაშებში.

**გათამაშების ცხრილი**

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

მდგომარეობა 7 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი“ | 9 | 7 | 1 | 1 | 14-7 | 15 |
| „სპარტაკი“ | 9 | 6 | 1 | 2 | 21-6 | 13 |
| „დინამო“ კ. | 9 | 5 | 3 | 1 | 13-5 | 13 |
| „ტორპედო“ | 10 | 5 | 3 | 2 | 13-9 | 13 |
| „არარატი“ | 9 | 4 | 3 | 2 | 7-12 | 11 |
| „დინამო“ მნ. | 9 | 4 | 2 | 3 | 17-12 | 10 |
| „ლოკომოტივი“ | 9 | 4 | 2 | 3 | 14-10 | 10 |
| „ჟალგირისი“ | 9 | 4 | 1 | 4 | 14-9 | 9 |
| „მეტალისტი“ | 9 | 4 | 1 | 4 | 15-14 | 9 |
| „დინამო“ მ. | 9 | 4 | 1 | 4 | 15-15 | 9 |
| „დინამო“ თბ. | 9 | 3 | 2 | 4 | 13-13 | 8 |
| „შახტიორი“ | 9 | 3 | 1 | 5 | 5-12 | 7 |
| „ზენიტი“ | 8 | 3 | 0 | 5 | 16-13 | 6 |
| „როტორი“ | 9 | 1 | 3 | 5 | 3-12 | 5 |
| „ჩერნომორეცი“ | 9 | 1 | 2 | 6 | 12-23 | 4 |
| „პამირი“ | 9 | 0 | 2 | 7 | 5-24 | 2 |

## „სპარტაკი“ უჩივის კალენდარს

**ჩვენი** ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს 10 მაისის მატჩს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პროგრამით. ამ დღეს თურქეთის ნაკრები თავის მინდორზე უმასპინძლებს სსრ კავშირის ფეხბურთელებს, საბჭოთა გუნდი გამარჯვების შემთხვევაში კვლავ მტკიცედ ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას.

ამასთან დაკავშირებით საკავშირო ჩემპიონატში მცირე შესვენებაა. ჯერ გაიმართება სსრკ საფეხბურთო კავშირის თასის V ტურის მატჩები, საკავშირო ჩემპიონატი კი განახლდება 13 მაისს X ტურის შეხვედრებით.

თბილისის „დინამო“ მომავალ კვირას, 14 მაისს, ერევანში შეხვდება „არარატს“, შემდეგ კი, 24 მაისს საკავშირო ჩემპიონატის მატჩში შინ მიიღებს მოსკოვის „სპარტაკს“.

მაგრამ მანამდე თბილისის დინამოელებსა და სპარტაკელებს კიდევ აქვთ ერთი შეხვედრა, ეს უკვე სსრ კავშირის თასის მატჩის მეოთხედფინალია, 17 მაისს „დინამო“ თბილისში უნდა შეხვდეს „სპარტაკს“. როგორც იცით, ეს მატჩი 28 აპრილს უნდა გამართულიყო, მაგრამ იგი გადაიტანეს 17 მაისისთვის.

მოსკოვის „სპარტაკის“ ხელმძღვანელობა პროტესტს გამოთქვამს იმ დაძაბულ კალენდართან დაკავშირებით, რომელიც მას ელის: „სპარტაკი“ 14 მაისს თამაშობს დონეცკში „შახტიორთან“, შემდეგ 17 მაისს თასზე უნდა ითამაშოს თბილისში და თუ აქ წარმატებას მიაღწია, 20 მაისს ითამაშებს სსრ კავშირის თასის ნახევარფინალში, 24 მაისს კი მას ჩემპიონატის XI ტურის მატჩი ელის კვლავ თბილისში „დინამოსთან“. ასე რომ, სპარტაკელებს, შესაძლოა, 4 მეტად მნიშვნელოვანმა თამაშმა მოუწიოს 10 დღეში.

მოსკოვის „სპარტაკის“ ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს, თუ ეს შესაძლებელია, სხვა ხელსაყრელ დროისთვის გადაიტანოს სსრ კავშირის თასის 17 მაისის მეოთხედფინალური მატჩი თბილისის „დინამოსთან“.

## სსრ კავშირის თასზე

**ჩვენს** ფეხბურთში საკმაოდ რთული სისტემით მიმდინარეობს სათასო გათამაშებანი: სსრ კავშირის 1988-89 წლების თასის გათამაშებაში ჯერ მეოთხედფინალის ეტაპი არ დამთავრებულა, პარალელურად მიმდინარეობს სსრკ საფეხბურთო კავშირის თასის გათამაშება უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის და უკვე დაიწყო 1989-90 წლების სსრ კავშირის თასის გათამაშება. დაგვეთანხმებით, ეს თავისებური საფეხბურთო ქაოსია, სადაც ერთბაშად სამი საკავშირო თასის მატჩები დაემთხვა ერთმანეთს.

სულ ახლახან სტარტი მიეცა სსრ კავშირის თასის 1989-90 წლების გათამაშებას, შიდა სამოცდამეოთხედფინალის მატჩები და შეხვედრები I და II ლიგების გუნდებს შორის.

გთავაზობთ საქართველოს წარმომადგენელთა შეხვედრების შედეგებს:

სარატოვის „სოკოლისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ მატჩი სარატოვში დამთავრდა „სოკოლის“ გამარჯვებით — 6:3. რუსთავის „მეტალურგმა“ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ბათუმის „დინამო“ — 3:2, ხოლო ლანჩხუთის „გურიამ“ პერმში ანგარიშით 3:2 მოუგო „ზვეზდას“. ამ მატჩის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 1:1, დამატებით დროში ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა შეძლეს უპირატესობის მოპოვება.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ მოაწყო ჩვენი ქვეყნის თასის 1988-89 წლების ნახევარფინალური მატჩების წილისყრა. მოსკოვის ტორპედოელები 19 მაისს თავიანთ მინდორზე მიიღებენ კიევის „დინამოს“. ჯერ დადგენილი არაა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ მეოთხედფინალურ წყვილში გამარჯვებული გუნდის შეხვედრის თარიღი დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“.

სსრ კავშირის 1989-90 წლების გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალის მატჩები გაიმართება 1 ივნისს. თასის ამ ეტაპზე საქართველოს გუნდების კალენდარი ასეთია: რუსთავის „მეტალურგი“ ქუიბიშევში შეხვდება „კრილია სოვეტოვს“, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ თავის მინდორზე მიიღებს ომსკის „ირტიშს“.

### კიდევ ერთხელ...

## [illegible] მოედნებიდან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თბილისის** ვარკეთილის რაიონის მეოთხე მიკრორაიონში დაახლოებით 1500 ბავშვი იზრდება. მაგრამ, სამწუხაროდ, არა გვაქვს სპორტული მოედნები. ამის შესახებ თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „მდგომარეობა დამაფიქრებელია, გულისტკივილი — სამართლიანი“. მას შემდეგ ორი წელი გავიდა და საშველი დღემდე არ დაგვადგა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თბილისის №5 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მიერ მოწყობილ სპორტულ მოედანს, რომელიც იმდენად უხეიროა, რომ სკოლამდელი ბავშვებიც კი ვერ იყენებენ, ერთი სიტყვით, მშენებლებმა თვალებში ნაცარი შემოგვაყარეს. სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა მაღრაძემ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გამოგვიცხადა — რაც აგიშენეთ, ეგეც მეტია თქვენთვისო. პატივცემულო რედაქცია, იქნებ თქვენ მაინც აგვიხსნათ, რატომ ხდება ასე, რომ მთელი პროგრესული კაცობრიობა ჯანსაღი მომავლის აღზრდისთვის იბრძვის, ჩვენ კი საამისოდ არავითარი პრაქტიკული საშუალება არა გვაქვს?

**ი. ძვლივაძე.**

რედაქცია პასუხს 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომიდან დაელოდება.

●—◆—●—◆—●

პასუხი „ლელოს“ ქმედითობა

### „პრობლემები დროზე გადასაწყვეტია“

ჩხოროწყუს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი გაცნობებთ, რომ თქვენი გაზეთის მიმდინარე წლის 18 მარტის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი „პრობლემები დროზე გადასაწყვეტია“, განხილულია რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე. წერილში აღნიშნული კრიტიკული შენიშვნები სწორია და ობიექტურად არის შეფასებული.

აღმასკომის სხდომაზე პრინციპული მსჯელობა გაიმართა არა მარტო გაზეთში გამოთქმულ შენიშვნებზე, არამედ იმ სხვა ნაკლოვანებებზეც, რომელიც ჯერ კიდევ გვაჩნია სასკოლო ფიზკულტურაში.

წერილში დასახელებული სკოლების დირექტორებს გამოეცხადათ საყვედური, ხოლო ფიზკულტურის მასწავლებლების საკითხი განსახილველად გადაეცა განათლების განყოფილებას. მათვე დაევალათ უმოკლეს დროში განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, არ დაუშვან სასკოლო ფიზკულტურაში ფორმალიზმის ელემენტები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარებას, იმშდ და მშდ ნორმატივების დებულების თანახმად ჩაბარებას, სექციური მუშაობის გაუმჯობესებას.

სოფლის ხელმძღვანელობას, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებათა თავკაცებს დაევალათ შეფობის წესით სათანადო დახმარება აღმოუჩინონ სკოლებს მატერიალურტექნიკური ბაზების გასაუმჯობესებლად.

**გოგი ახალაია,**
**ჩხოროწყუს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.**

●—◆—●—◆—●

### II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების VII ტურის შეხვედრები: „ნარტი“ (ჩერკესკი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:1, „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:2, „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) 0:1, „ყარაბაღი“ (აგდამი) — „ზვეზდა“ (გოროდიშჩე) 3:0, „ტორპედო“ (ვოლჟსკი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 2:1, „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) — „ბაკინეცი“ (ბაქო) 0:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „დილა“ (გორი) 0:0, ომც (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:2.

### საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის V და VI ტურის შეხვედრები.

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი). 1:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: იონანიძე („შადრევანი“), კიურჯიევი (პოლ. ინსტიტუტი).

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს გ. ვიბლიანი (პოლ. ინსტ.).

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „მზიური“ (გალი) 1:1. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლები: მიხაბიშვილი („დინამო“), ვეკუა („მზიური“).

**„სიონი“ (ბოლნისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:1. მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი).** გოლები: სამხარაძე, ბასილაშვილი, ლაზარევი („სიონი“), მამულაშვილი („არმაზი“).

არასპორტული საქციელისთვის გააფრთხილეს ა. შაკიაშვილი („სიონი“), და ზ. ძაგანიშვილი („არმაზი“).

**„დინამო“ (გაგრა) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:0. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: სიჭინავა, მანაგაძე („დინამო“).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0, მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლი: ვ. ხვარეშია („საპოვნელა“).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სულორი“ (ვანი) 2:1, მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: შამუგია, ვართანოვი („ამირანი“), დვალიშვილი („სულორი“).

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ივერია“ (ხაშური) 3:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: გოგუა, შამათავა, სიჭინავა („სამეგრელო“), ქიმერიძე („ივერია“).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:0. მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).** გოლები: ფრუიძე-2, ციკოლია („მეტალურგი“).

არასპორტული საქციელისთვის გააფრთხილეს გ. ჭუმბურიძე („მეტალურგი“).

**„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:0. მსაჯი ვ. დარჩია (თბილისი).** გოლები: ტეფნაძე, ასათიანი („მაღაროელი“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — ფიზკ. ინსტ. (თბილისი) 3:1. მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი).** გოლები: მიხაილოვი, ძაგოევი, რომელაშვილი („სპარტაკი“), პაიჭაძე (ფიზ. ინსტ.).

ხელით განზრახ ბურთის დაჭერისთვის გააფრთხილეს ლ. გრიგორიანი („სპარტაკი“).

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო“ (გაგრა) 7:2. მსაჯი ა. მანუკიანი (თბილისი).** გოლები: ბარამიძე-2, ქორქია, სირაძე-2, კიურჯიევი, ჯანჯალია (პოლ. ინსტ.), მანაგაძე, დგებუაძე („დინამო“).

არასპორტული საქციელისთვის გააფრთხილეს ტ. მანაგაძე („დინამო“). სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის — დ. მაღრაძე (პოლ. ინსტ.).

**„მზიური“ (გალი) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: ჩხეტია („მზიური“), ღლონტი („სქური“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს კ. სალია და ბ. კვარაცხელია (ორივე — „სქური“).

**„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:2. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი).** გოლები: ბაბილაშვილი, ქილაშვილი („ბახტრიონი“), მახათაძე-2 („მაღაროელი“).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ივერია“ (ხაშური) 0:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).**

გააფრთხილეს თ. ნოზაძე („ივერია“) და ი. ფუტკარაძე („მეტალურგი“) ერთმანეთთან კინკლაობისათვის.

**„არმაზი“ (მცხეთა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:0. მსაჯი კ. დავიდიანი (ბათუმი).** გოლები: ყაჩლავაშვილი, ქისიშვილი („არმაზი“).

**ფიზკ. ინსტ. (თბილისი) — „სიონი“ (ბოლნისი) 4:0. მსაჯი თ. სოფრომაძე (თბილისი).** გოლები: ნასუაშვილი, ბაქრაძე, შონია-2 (ფიზკ. ინსტ.).

მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს გ. ავქოფაშვილი და ვ. სამხარაძე (ორივე — „სიონი“).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: ქარენაშვილი („დურუჯი“), რომელაშვილი („სპარტაკი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ვ. მარგიევი („სპარტაკი“).

**„არაგვი“ (დუშეთი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:1. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია).** გოლები: ხუციშვილი, ბედუკაძე („არაგვი“), ბოჭორიშვილი („საპოვნელა“).

**„სულორი“ (ვანი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:1. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლები: დვალიშვილი („სულორი“), იობიძე („შადრევანი“).

**II ჯგუფი**

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

„კახეთი“ — „თრიალეთი“ 4:1, „გარისი“ — „გარეჯი“ 3:1, „კოლმეურნე“ — „ჰერეთი“ 2:2, „შირაქი“ — „ალგეთი“ 3:0, „სინათლე“-სპორტ. ინტერნატი — „ალაზანი“ 0:3, „განთიადი“ — „სამგორი“ 3:2, სსი-მუხრანი — „მეტალისტი“ 6:0.

**ცენტრალური ქვეჯგუფი**

„რაჭა“ — „ჩხერიმელა“ 0:2, „იბერია“ — „აბული“ 3:0, „ზარზმა“ — „მესხეთი“ 1:2, „ფარვანა“ — „განთიადი“ 2:2, „ლიახვი“ — „ვარძია“ 1:0, „მეშახტე“ — „თორი“ 3:2, „ქართლი“ — „საირმე“ 3:1.

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

„ბეთლემი“ — „ფაზისი“ 2:0, „მშენებელი“ — „ჩიბათი“ 1:2, „ზანა“ — „ოდიში“ 0:1, „ხვამლი“ — „დარჩელი“ 2:5, „მენავთობე“ — „დვაბზუ“ 2:1, „მეშახტე“ — პოლ. ინსტ. ქუთაისი 1:2, „სუბტროპიკი“ — „ბახმარო“ 2:0, „სალხინო“ — „იმერეთი“ 1:2, „ეგრისი“ — „ნარინჯი“ 2:1.

ამა წლის 7 ივნისს თბილისში ჩატარდება რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის წევრების ნორმატივების ჩაბარება ფიზიკურ მომზადებაში, ნორმატივებს აბარებენ ის მსაჯები, რომლებიც ემსახურებიან რესპუბლიკის ჩემპიონატის I და II ჯგუფების თამაშებს, აღნიშნულ დღეს მსაჯებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი ცნობები: ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, შევსებული კადრების აღრიცხვის ფურცელი ფოტოსურათით, ცნობა სამსახურიდან და დახასიათება პირადი საქმის შესადგენად ის მსაჯები, რომლებიც არ წარმოადგენენ აღნიშნულ დოკუმენტაციას, ნორმატივების ჩასაბარებლად არ დაიშვებიან და განთავისუფლდებიან რესპუბლიკის ჩემპიონატის მომსახურეობისაგან. ნორმატივების ჩაბარება დაიწყება დილის 11 საათიდან. მსაჯებმა, რომლებმაც გაიარეს საკავშირო შეკრებები უმაღლეს, პირველ და მეორე ლიგების ატესტაციის დროს, ნორმატივების ჩაბარებიდან თავისუფალნი არიან.

**გათამაშების ცხრილი**

I ჯგუფი

მდგომარეობა 7 მაისისთვის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 5 | 3 | 2 | 0 | 10-2 | 8 |
| „მაღაროელი“ | 5 | 3 | 2 | 0 | 8-3 | 8 |
| „საპოვნელა“ | 5 | 3 | 0 | 2 | 8-5 | 6 |
| „შადრევანი“ | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 6 |
| „დინამო“ ზ. | 4 | 2 | 1 | 1 | 11-5 | 5 |
| „ამირანი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 8-3 | 5 |
| „მზიური“ | 4 | 1 | 3 | 0 | 5-3 | 5 |
| „მეტალურგი“ | 5 | 1 | 3 | 1 | 4-3 | 5 |
| „სამეგრელო“ | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 5 |
| ფიზკ. ინსტ. | 4 | 2 | 0 | 2 | 7-8 | 4 |
| „სიონი“ | 5 | 2 | 0 | 3 | 5-8 | 4 |
| პოლ. ინსტ. თბ. | 3 | 1 | 2 | 0 | 9-4 | 4 |
| „სულორი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 4 |
| „სქური“ | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 4 |
| „დინამო“ გ. | 4 | 1 | 1 | 2 | 7-12 | 3 |
| „დურუჯი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 3 |
| „არმაზი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 3 |
| „არაგვი“ | 5 | 1 | 1 | 3 | 5-10 | 3 |
| „ივერია“ | 5 | 0 | 2 | 3 | 5-9 | 2 |
| „ბახტრიონი“ | 5 | 0 | 1 | 4 | 4-15 | 1 |

## შეავრამად, შეგახსენებთ!

### „შესაძლებლობები არის, მონდომება არა“

ამ სათაურით და რუბრიკით „ქალაქებისა და რაიონების დღე ჩვენს გაზეთში“ 14 მარტს გამოქვეყნდა კრიტიკული შენიშვნები მარნეულის, ბოლნისის და მცხეთის რაიონებში ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. პასუხი დღემდე არ მიგვიღია ამ რაიონებიდან. რატომ?

IV

### თვის მონაგარი

# სევდანარევი სიხარული

(დასასრული)

იგი აქ მართლაც რომ ხწორუპოვარი იყო და ყველა პარტია გამარჯვებით დაამთავრა.

ამ შეჯიბრებაში, უფროსთა შორის, გამოდიოდა კახიანის თანაგუნდელი ნათია ჯანჯღავა, რომელმაც 8,5 ქულა დააგროვა და მესამე ადგილი დაიკავა.

თბილისელმა მოჭადრაკეებმა წარმატებას მიაღწიეს ბერლინში გამართულ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზეც — ერნსტ ტელმანის მემორიალზე. აქ ზურაბ აზმაიფარაშვილმა უძლიერესის სახელი მოიპოვა. მეორე თბილისელმა გენადი ზაიჩიკმა უვე ბიონშთან ერთად მეორე-მესამე ადგილები გაიყო.

თბილისელმა ვლადიმერ გოგოლაძემ ვოლგოგრადში გამართულ სპორტულ ტანმოვარჯიშეთა საკავშირო თასის გათამაშებაში, მრავალჭიდში, მესამე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა პირველ ლიგაში გამოსვლის უფლება მოიპოვეს. ჩვენმა ქალთა გუნდმა, თბილისის „ბურევესტნიკმა" ეს სამწლიანი პაუზის შემდეგ დაიმსახურა. მან თორმეტი შეხვედრიდან თერთმეტში გაიმარჯვა, ხოლო ჩვენმა ვაჟთა გუნდმა თბილისის „მშენებელმა" ყველა თამაში მოიგო.

შმერინში (გდრ) გამართულ ჭაბუკ მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირზე საბჭოთა სპორტსმენებმა ხუთი ოქროს მედალი მოიპოვეს. აქედან ოთხი „ოქრო" ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა ანგარიშზეა. აი ისინიც: თბილისელები კახაბერ ბარავი, დიმიტრი ავდალიანი, არმენ ბურდიანცი, მესტიელი ზურაბ ფალიანი.

წლეულს იური გაგარინის ტრადიციულმა ტურნირმა კრივში, რომელიც ჭაბუკთა შორის ტარდება, საერთაშორისო სტატუსი მიიღო. ამ ტურნირის ფერისცვალების შემდეგ ასპარეზობის ლაურეატთა შორის ქართველი მოკრივეებიც აღმოჩნდნენ. ეს შეჯიბრება სარატოვში ჩატარდა. ჩვენი სპორტსმენებიდან საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ტყიბულელი ნშარტაკ პირველაშვილი, თბილისელი ალეკო მღებრიშვილი და ჭიათურელი მამუკა ლავთაძე.

მეორე ადგილზე გავიდნენ ხობელები გოჩა რუსია, კახაბერ კაჭარავა, მიხეილ აჯიაშვილი და თბილისელი სულხან ხაპულაძე.

მოსკოვში, უფროსი ასაკის თავისუფალი სტილის მოჭიდავე ჭაბუკთა საკავშირო ტურნირზე, რომელიც ა. პრეობრაჟენსკის ხსოვნას მიეძღვნა, გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდნენ სოხუმელი ზაზა გოგუა და აფხაზეთის სოფელ ვარჩეს მკვიდრი ლუკა კოხია. ამ უკანასკნელმა ფინალში დაამარცხა სოხუმელი ირაკლი ჩაკვეტაძე. ხამივე სპორტსმენი ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს. ამასთან, ზაზა გოგუა ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ აღიარეს.

აფხაზეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეები გამოდიოდნენ ტალინში გამართულ საკავშირო ტურნირშიც, რომელიც უფროსთა შორის ესტონეთის ვეტერან მოჭიდავეთა პრიზზე ჩატარდა. აქ უძლიერესის სახელი მოიპოვა სოხუმელმა მალხაზ თოლორდავამ. მეორე იყო მისი თანაგუნდელი არსენ მაისურაძე.

თავისუფალი სტილის იუნიორ მოჭიდავეთა საკავშირო პირველობას კემეროვომ უმასპინძლა და ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სამი პირველი და ორი მეორე ადგილი დაიმსახურეს. ოქროს მედლები მოიპოვა გორელმა გიორგი ხინჩიკაშვილმა, ყვარლელმა გიორგი ივანიშვილმა და სოხუმელმა გელა უბილავამ.

მეორე პრიზიორები გახდნენ მაიაკოვსკელი კახა ჯაბიძე და თბილისელი მერაბ ვალიევი.

საქართველოს სამბისტთა ჭეშმარიტი ტრიუმფით დამთავრდა გორში გამართული საერთაშორისო ტურნირი ა. ხარლამპიევის მემორიალზე, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა გარდა სარბიელზე გამოვიდნენ სსრ კავშირის, იაპონიის, ბულგარეთის, საფრანგეთისა და კუბის სპორტსმენები. აქ მასპინძლებმა ყველაზე მეტი, 5 ოქროს მედალი მოიპოვეს. ამასთან, მათ კიდევ ოთხი „ბრინჯაო" დაიმსახურეს და მეტოქეებზე მთელი თავით მაღლა აღმოჩნდნენ.

ჩვენი სამბისტების წარმატება უფრო ნათელი გახდება, თუ იმასაც ვიტყვით, რომ ამ ტურნირზე, შეჯიბრების დებულების თანახმად, ერთი ქვეყნის წარმომადგენელს პირველ-მეორე ადგილებს არ აკუთვნებდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, ჩვენი სამბისტები გაცილებით მეტ ჯილდოს დაიმსახურებდნენ.

ახლა შეგახსენებთ ამ ტურნირზე გამარჯვებულ საქართველოს ათლეტებს. ესენი არიან: რამაზ გოგიაშვილი, თემურ შეთეკაური, ჯემალ მჭედლიშვილი, მალხაზ ბერუაშვილი და იოსებ ჯიჩოშვილი.

მესამე ადგილზე გავიდნენ ბონდო მარიდაშვილი, გია მაცვლიშვილი, ზაზა ბერიკაშვილი, მიხეილ ხუმრაძე.

მოსკოვში გამართულ იუნიორ (20 წლამდე ასაკის) კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო პირველობაზე საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა.

პირად პირველობაში გამარჯვებულთა შორის არიან ქუთაისელი გოგი კოღუაშვილი და თბილისელი ნაიბი დვალაძე.

და ბოლოს, ერთი სენსაციური სპორტული ორთაბრძოლის შესახებ. ტოკიოში ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი სახელგანთქმული ათლეტი, ოლიმპიური ჩემპიონი გორელი ძიუდოისტი შოთა ჩოჩიშვილი, რომელიც მრავალწლიანი შესვენების შემდეგ პროფესიულ სპორტსმენად მოგვევლინა და იაპონელი კარატისტი ანტონიო ინოკი. სწორედ ის ინოკი, რომელიც თავის დროზე პროფესიონალთა შორის მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს, მოკრივე კასიუს კლეის (მოჰამედ ალის) შეხვდა (ეს ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა).

ქართველი ძიუდოისტისა და იაპონელი კარატისტის ორთაბრძოლაში, რომელმაც უზომოდ დიდი ინტერესი გამოიწვია, გორელმა მოჭიდავემ გაიმარჯვა.

აპრილში სპორტის სხვადასხვა სახეობებში წარმატებებს მიაღწიეს ჩვენმა ნორჩებმაც, რაც მომავალ გამარჯვებათა იმედს გვინერგავს.

საზღვარგარეთის სპორტის ვარსკვლავები

# უილტონ ჩემბერლენი

თანამედროვე პროფესიული კალათბურთის სუპერვარსკვლავი უილტონ ჩემბერლენი, რომელიც დღესაც ყველა დროისა და ხალხის საუკეთესო თავდამსხმელად ითვლება, დაიბადა 1936 წლის 21 აგვისტოს ფილადელფიაში. გოლიათური აღნაგობის ბავშვი მშობლებს უამრავ პრობლემას უქმნიდა. მაღაზიებში მისი ზომის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი არ იყიდებოდა, ამიტომ ჭაბუკს ყველაფერს სპეციალურად უკერავდნენ, რაც გაუთვალისწინებელ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ოჯახის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწვა. ჩემბერლენები კი, რა დასამალია, სიმდიდრით არ გამოირჩეოდნენ.

ოვერბუკის საშუალო სკოლაში სასწავლებლად მიბარებული ყმაწვილი, თავისი გიგანტური აღნაგობის გამო (სიმაღლე 205 სანტიმეტრი, წონა 95 კილოგრამი), მახინჯად მიაჩნდათ. მაგრამ ყველას გასაკვირად უილტონი საოცრად სწრაფი და მოქნილი ყმაწვილი აღმოჩნდა, რომელიც ამასთან საკმაოდ მაღლა ხტებოდა და დაუჯერებლად კარგ დროს აჩვენებდა ერთ მილზე რბენაში. სულ მალე ჩემბერლენი სასკოლო კალათბურთის აღიარებული ლიდერი გახდა, მის კოლექტივს კი, ამის გამო, ერთი მოთამაშის გუნდი შეარქვეს.

ჯერ კიდევ სასწავლებლის დამთავრებამდე პერსპექტიულ ყმაწვილს თვალი დაადგეს სტუდენტური კალათბურთის სპეციალისტებმა და უილტს რამდენიმე ხელსაყრელი წინადადება შესთავაზეს, მცირედი ყოყმანის შემდეგ მან არჩევანი კანზასის უნივერსიტეტზე შეაჩერა. ამ დროისათვის მისი სიმაღლე 217 სანტიმეტრი იყო.

პირველ ორ სეზონში ფენომენალური მონაცემების მქონე ჩემბერლენმა სტუდენტთა კალათბურთის თითქმის ყველა, მანამდე არსებული რეკორდი მოხსნა. აშკარა იყო, რომ კანზასში იგი დიდხანს არ დარჩებოდა. პროფესიონალური კლუბები დაუფარავად ნადირობდნენ მასზე და მართლაც, მეორე კურსზე ჩემბერლენმა შეწყვიტა სწავლა და ხელი მოაწერა კონტრაქტს პროფესიული კალათბურთის იმხანად პოპულარულ საცირკო ჯგუფთან „ჰარლემ გლობტროტესთან". ამ კონტრაქტის თანახმად ჩემბერლენს დაენიშნა 75 ათასი დოლარი წელიწადში.

მაგრამ ცირკის ატმოსფერო ახალგაზრდა კალათბურთელს, რომელიც ნამდვილი სპორტული ბრძოლის ჟინით იყო შეპყრობილი, ხელს არ აძლევდა. 1959 წელს იგი გადავიდა „ფილადელფია უორიორზის" პროფესიულ კლუბში (ამ დროს მისმა სიმაღლემ 217,5 სანტიმეტრს მიაღწია, წონამ კი 117 კილოგრამს). ნბა-ს ლიგაში თამაშის პირველსავე სეზონში ჩემბერლენს „ტერორისტის" სახელი შეარქვეს — ისეთ შიშის ზარს ჰგვრიდა იგი თავის მეტოქეებს. უილტი საშუალოდ ყოველ მატჩში 37,6 ქულას აგროვებდა და სეზონში 1941-ჯერ ილებდა ფარიდან ასხლეტილ ბურთს. მალე მას „დიდი დათვი" დაერქვა.

მომდევნო სეზონი ჩემბერლენმა უფრო ძლიერად ჩაატარა და თავისებური რეკორდსმენი გახდა სნაიპერთა შორის (3000 ქულა ერთ სეზონში). ამ პერიოდში (1961-1962 წლები) მას ყოველ მატჩში თავისი კოლექტივისთვის საშუალოდ 50,4 ქულა მოჰქონდა. 2 მარტს კი კიდევ ერთი ფანტასტიკური რეკორდი დაამყარა — ერთ-ერთ კალენდარულ შეხვედრაში 100 ქულა აიღო. მას პროფესიული კალათბურთის ბევრი სხვა რეკორდიც ეკუთვნოდა. ერთხელ, მაგალითად, ზედიზედ 36-ჯერ ტყორცნა ბურთი კალათში უშეცდომოდ, მეორე შეხვედრაში კი 55-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს. 1959 წლიდან მოყოლებული, შვიდი სეზონის განმავლობაში აღიარეს ლიგის საუკეთესო სნაიპერად. იგი ყველაზე ბევრჯერ ისროდა ბურთს კალათში, ყველაზე უკეთ იბრძოდა ფარქვეშ და ყველაზე მეტხანს იყო მოედანზე. ჩემბერლენს ოთხჯერ მიეკუთვნა ყველაზე საჭირო კალათბურთელისათვის დაწესებული პრიზი. პროფესიული კალათბურთის ისტორიაში მას პირველს დაუნიშნეს ყველაზე ფანტასტიკური ჰონორარი — 250 ათასი დოლარი წელიწადში.

მაგრამ ნბა-ს ლიგაში ჩემბერლენს მწვრთნელთა რისხვას, მათ დამთრგუნველსაც უწოდებდნენ. მან ბევრი მწვრთნელი გამოიცვალა, მათ შორის ისეთი პოპულარული სპეციალისტები, როგორებიც იყვნენ ნეილ ჯონსონი და ფრენკ მაკგაიერი, ბობი ფირკი და ელექს ჰანამი, დოლფ შეიზი და ბილ ვან ბრედა-კოლკი. მათგან ყველაზე იღბლიანი მაინც ფრენკ მაკგაიერი გამოდგა, რომელმაც დიდი კამათისა და წინააღმდეგობის შემდეგ ჩემბერლენს თავისუფლად თამაშის უფლება მისცა.

„ყოველი თამაშის მიზანი, ბოლოსდა ბოლოს გამარჯვებაა, — ამბობდა იგი, — ჩვენ გვყავს ჩემბერლენი — ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამარჯვება



ბურთისთვის იბრძვის ჩემბერლენი (№ 13).

გარანტირებულია, ამიტომ ვითამაშოთ ჩემბერლენზე". 1961-62 წლების სეზონში ჩემბერლენმა 3159 ქულა დააგროვა (ყოველ მატჩში საშუალოდ 50,5 ქულა). მაგრამ ამ ფანტასტიკური მაჩვენებლების მიუხედავად ჩემბერლენის გუნდი („ფილადელფია უორიორზი") ლიგაში მაინც მეორე კოლექტივი იყო „ბოსტონ სელტიქსის" შემდეგ.

მომდევნო წელს ჩემბერლენმა რამდენიმე კალათბურთელთან ერთად მიატოვა თავისი კლუბი და სან-ფრანცისკოში გადავიდა, სადაც მწვრთნელად ბობი ფირკი მუშაობდა. უილტი, რა თქმა უნდა, უდიდესი კალათბურთელი იყო, მაგრამ რატომღაც „წამგებიან მოთამაშედ" ითვლებოდა. ნბა-ს თერთმეტი ფინალური სერიიდან ჩემპიონის წოდება მან მხოლოდ ორჯერ მოიპოვა. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ ჩემბერლენის გუნდმა ორჯერ (1966-67 და 1971-1972 წწ. სეზონებში) გაიმარჯვა სწორედ მაშინ, როცა ლიდერი აშკარად არ იყო ფორმაში.

„იმის თქმა არ მინდა, რომ ჩემბერლენი ჩვეულებრივი მოვლენაა სპორტში. მაგრამ კალათბურთი კოლექტიური თამაშია და გუნდის წარმატებაში მისმა ყველა წევრმა თანაბარი წვლილი უნდა შეიტანოს. ჩემბერლენი კი მარტო თამაშობს. იგი ლიგის საუკეთესო ბომბარდირია მუდამ, მაგრამ მისი კოლექტივი იშვიათად იგებს ჩემპიონატს". ეს სიტყვები ეკუთვნის „ბოსტონ სელტიქსის" მწვრთნელს, წარსულში ჩემბერლენზე არანაკლებად პოპულარულ კალათბურთელს ბილ რასელს.

1969 წლის 7 ნოემბერს მაღალი ბურთისთვის ბრძოლის დროს ჩემბერლენი უხეიროდ დახტა და დაშავდა. ოპერაციის შემდეგ, რომელიც ორი საათს გაგრძელდა, ექიმებმა განაცხადეს, რომ საეჭვოა ჩემბერლენი კვლავ გამოვიდეს მოედანზე სათამაშოდ. მაგრამ ჯიუტმა უილტონმა უარყო ექიმთა დიაგნოზი და საჯაროდ განაცხადა: „ფინალურ სერიებში უსათუოდ ვითამაშებ". მან თავისი სიტყვა შეასრულა, თუმცა... იმ სეზონში ჩემბერლენის გუნდი „ნიკერბოკერსთან" დამარცხდა.

ჩემბერლენის მოსვლამ პროფესიულ კალათბურთში მწვრთნელებისა და სპეციალისტების პროტესტი გამოიწვია. ისინი ერთხმად აცხადებდნენ, რომ უილტი „მოჰკლავს, დაასამარებს კალათბურთს". როგორც ხედავთ, ასე არ მოხდა. ჩემბერლენი თერთმეტ წელიწადს ბატონობდა პროფესიულ კალათბურთში, მერე მისი ადგილი სხვა სუპერვარსკვლავებმა დაიკავეს, კალათბურთი კი დარჩა და თავის არსებობას დღემდე განაგრძობს. და მაინც, უილტონ ჩემბერლენის მსგავსი მოთამაშე კალათბურთს არ ჰყოლია. იმავე ბილ რასელის სიტყვებით რომ ვთქვათ: „კალათბურთი შეიძლება მართლაც დაღუპულიყო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩემბერლენი კოლექტიურ თამაშს ისწავლიდა. კიდევ კარგი რომ არ მოხდა ასე".

### მეორედ შეასრულა

ვარშავაში დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ჩატარდა, მონაწილეობდა 150 მოჭადრაკე. აქედან 20 დიდოსტატი, დანარჩენი საერთაშორისო ოსტატები და ოსტატები იყვნენ. მონაწილეთა შორის იყო ორი ჩვენი თანამემამულე, საერთაშორისო დიდოსტატი ელიზბარ უბილავა და ოსტატი გია გიორგაძე. ელიზბარ უბილავამ 5,5 ქულა მოაგროვა. რაც შეეხება გია გიორგაძეს, მან 6 ქულა აიღო და ნახევარი ქულით გადააჭარბა საერთაშორისო ოსტატის ნორმას, რომელიც მეორედ შეასრულა.

### არც ერთი ჩვენი მოჭიდავე

ოულუ. ფინეთის ამ საპორტო ქალაქში დაიწყო ევროპის მორიგი ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან კონტინენტის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მედალოსნები.

ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება ევროპის მრავალგზის გუნდური ჩემპიონი — სსრ კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში გამოდიან შარშანდელ ასპარეზობაში გამარჯვებულნი, მოსკოველი მიხეილ მამიაშვილი (82 კგ), ნოვოსიბირსკელი ალექსანდრე კარელინი (მძიმე) და ჩიმკენტელი ბისოლტ დეციევი (74 კგ). ერთწლიანი შესვენების შემდეგ სარბიელზე გამოვა ევროპის 1987 წლის ჩემპიონი, ომსკელი ვლადიმერ პოპოვი (90 კგ). გუნდის დანარჩენი წევრები დებიუტანტები არიან. მათ შორის არ არის ჩვენი რესპუბლიკის არც ერთი წარმომადგენელი.

ტურნირი დამთავრდება დღეს, 7 მაისს.

### ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 7 მაისი. რიტმული ტანვარჯიში — 9.15 (1); „სპორტლოტოს" ტირაჟი — 9.45 (1); საფეხბურთო მიმოხილვა — 1.05 (1).

8 მაისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საფეხბურთო მიმოხილვა — 9.20 (1); ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში (გადაცემა ფინეთიდან) — 10.20 (2); მშვიდობის ველორბოლა — 0.40 (გადაცემა პოლონეთიდან).

საქართველოს ტელევიზია. 7 მაისი. საფეხბურთო მიმოხილვა — 1.05.

საქართველოს რადიო. 7 მაისი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი" — 14.30.

### „ბარსელონა" თუ „რეალი"

ესპანეთის ჩემპიონატი კალათბურთში უახლოვდება ფინიშის სწორს და მით უფრო მწვავედ ისმის კითხვა „ბარსელონა" თუ „რეალი"? ბოლო მე-14 ტურში „ბარსელონამ" სტუმრად მოუგო ბადალონას „ჰუვენტუდს" — 104:91, ხოლო „რეალმა" სარაგოსაში სძლია „კაი სარაგოსას", რომელსაც სათავეში უდგას იუგოსლაველი სპეციალისტი რანკო ჟერავიცა — 120:83. ორივე ლიდერმა გამარჯვებების ერთნაირი რაოდენობა (11-11) მოიპოვა. ესპანეთის ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის და იწყება „პლეი-ოფის" მატჩები.

მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ბარსელონა"— იეა, „რეალი" — „ტანჟერი", „ჰუვენტუდი" — „კაკაოლატი", „კაიადერონდა" — „კაი სარაგოსა".

„პლეი-ოფის" სერიის მატჩები დაიწყო იტალიის ჩემპიონატშიც. გამოვლინდნენ მეოთხედფინალის მონაწილეები. გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ბენეტონი" — „ფილიპსი", „ენიჰემი" — „არიმო", „სკავოლინი" — „დივარესე", „კნორო" — „სნაიდერი".

მერაბ კალანდაძე.

რედაქტორი
თ. ბაჩიჩილაძე.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07164